ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. და თბილ. კომიტეტების და საქ. საკის ორგანო

ტელეფონები №№: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მო. კანტორის—8—31.

შაბათი, 20 თებერვალი 1932 წ. № 42 (3296)

## თესვისათვის მზადება მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას

საგაზაფხულო თესვის გეგმების წარმატებით შესრულება მთლიანად დამოკიდებულია თესვისათვის საჭირო წინასწარი მოსამზადებელი კამპანიის ნაყოფიერად გაწევისაგან. პარტიის და ხელისუფლების ხელმძღვანელ ორგანოებმა ადგილებს დროზე მისცეს დირექტივები 1932 წლის საგაზაფხულო თესვის ჩატარების შესახებ. საჭირო იყო დირექტივების საფუძველზე დამკვრელი მუშაობის გაჩაღება თესვის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ნაყოფიერად წარმოებისათვის; საჭირო იყო ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, კოოპერატიული, პროფესიონალური ორგანიზაციების, კოლმეურნეთა მასის, საბჭოთა მეურნეობის მუშების, მოჯამაგირეების და ღარიბ საშუალო გლეხთა ყურადღების ენერგიული მობილიზაცია საგაზაფხულო თესვის კონკრეტულ ამოცანების ირგვლივ.

**გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით დღემდე ჩატარებული მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი. კიდევ მეტი.** იმ ცნობების თანახმად, რომელიც საქართველოს მიწსახკომს მოეპოვება, საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას მთელ რიგ რაიონებში **ჩაშლა** მოელის, თუ არ იქნა მიღებული ფრიად ენერგიული ზომები.

10 თებერვლისათვის პურის და ქერის სათესლე მასალის შეგროვების გეგმა შესრულებული იყო 63,8 პროცენტით, სიმინდის 34,3 პროცენტით. ხორბლეულის დამზღვევი სათესლე ფონდი შეგროვილია 39,6 პროცენტით, სიმინდის 17 პროცენტით. ამავე 10 თებერვლისათვის ტრაქტორების შეკეთების გეგმა შესრულებული იყო 55,6 პროცენტით. (შესაკეთებელია 240 ტრაქტორი, აქედან 125 ტრაქტორი ჯერ მიტანილიც არ არის შემკეთებელ სახელოსნოებამდე).

გარდა ამისა უნუგეშო მდგომარეობაშია საწარმოო - საფინანსო გეგმების შედგენა კოლმეურნეობებში. სათანადო კადრების მოუმზადებლობის და მთელ რიგ ორგანიზაციების მიერ ამ დარგში თვითმდინარებაზე დაყრდნობის გამო, **საწარმოო - საფინანსო გეგმების შედგენა კოლმეურნეობებში მიმდინარეობს დაუშვებელი ნელი ტემპით.**

მდგომარეობა გართულებულია იმის გამოც, რომ **საგრძნობლად იგვიანებს** საგაზაფხულო თესვის გეგმების დაყვანა სოფლამდე, კოლმეურნეობამდე, სამინჭანო - სატრაქტორო სადგურებამდე, საბჭოთა მეურნეობამდე და კომლამდე. მიწაღოქმედების კომისარიატს არ მოუპოვება **არავითარი** ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მტკიცე დავალების მიცემა კულაკურ და შეძლებულ მეურნეობათათვის. 10 თებერვლისათვის მხოლოდ 3 რაიონიდან იყო ცნობა თესვის გეგმების სათანადოდ დაყვანის შესახებ. სუსტად მიმდინარეობს მასიური - პოლიტიკური მუშაობა საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო კამპანიის სამეურნეო - პოლიტიკური მნიშვნელობის გასარკვევად, დარიბთა და მოჯამაგირეთა დასაორგანიზებად და კულაკების წინააღმდეგობის გასატეხად, რომელნიც ცდილობენ საგაზაფხულო თესვის შეფერხებას, როგორც სოციალისტურ, ისე კერძო სექტორში.

ყველა ეს მაჩვენებლები ნათლად ადასტურებენ, რომ მთელ რიგ ცენტრალურ (საქ. მიწსახკომი, ტრაქტორცენტრი, ბაღ-ბოსტანკავშირი), და ადგილობრივ ორგანიზაციებს დღემდე არ მოუხდენიათ მთელი ძალების და საშუალებების მაქსიმალური მობილიზაცია იმ საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად, რომელიც 1932 წლის საგაზაფხულო თესვის გეგმითაა გათვალისწინებული.

თვითმდინარეობას და ყოველგვარ დემობილიზაციურ განწყობილებას დაუზოგავად უნდა დავარტყათ. მთელი ძალები და მთელი ენერგია გამოყენებული უნდა იქნას იმისათვის, რომ დარჩენილი დროის განმავლობაში შესრულდეს საგაზაფხულო თესვის წინასწარი სამუშაოები: სათესლე ფონდების შეგროვება, გაწმენდა, მანქანა - იარაღების შეკეთების უახლოეს დღეებში დამთავრება, მთელი გამწევი ძალის წესრიგში მოყვანა, მუშა - პირუტყვის კვების გაძლიერება და სხვ.—აი რას უნდა მივაქციოთ ყურადღება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიხდვრად მუშაობის სწორ ორგანიზაციას კოლმეურნეობებში. ამ შემთხვევაში **ძირითად პრაქტიკულ ამოცანას წარმოადგენს საკოლმეურნეო ბრიგადის მოწყობა საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 4 თებერვლის დადგენილების საფუძველზე.** ეს საკითხი ამჟამად მოქცეული უნდა იქნას პარტიულ და საკოლმეურნეო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

დაუყოვნებლივ უნდა მოთავდეს გეგმების დაყვანა სოფლამდე, კოლმეურნეობამდე და კომლამდე. საქმე დაყენებულ უნდა იქნას ისე, რომ საგაზაფხულო სასოფ.-სამეურნეო გეგმების განხილვის და მისი ცალკე სექტორების მიხედვით დაზუსტების საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობის მუშები, მოჯამაგირეები და ღარიბი, საშუალო გლეხები. ღარიბ, საშუალო გლეხთა მეურნეობამდე გეგმების დაყვანის დროს დაძებული არ უნდა იქნას არავითარი ადმინისტრატიულობა. ამავე დროს, ფხიზელი ყურადღება უნდა მიექცეს კულაკურ, შეძლებულ მეურნეობათა მთლიანად გამომჟღავნებას და მათთვის თესვის მტკიცე დავალებების დროულად მიცემას.

ადგილობრივი ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს **ადრეული ხვნის** დროზე დაწყებას. ამ მხრივ უდიდესი მოვალეობა აწევთ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებს, რომელთაც ადრეულად უნდა მოხნან ბამბის, თამბაქოს, ჭარხლის და თავთავიანი კულტურების მთელი ფართობი.

**დრო ძვირია!** თესვის დაწყების პერიოდი ახლოვდება. ჩვენი ვალია გავაჩაღოთ დამკვრელი მუშაობა საგაზაფხულო თესვის მოსამზადებელი კამპანიის სამუშაოთა დროზე გათავებისათვის. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ბრძოლა მემარჯვენე ოპორტუნისტული პრაქტიკის, „მემარცხენე“ ნახტომების და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ. გასულ წელს სასოფ. - სამ. კამპანიებში საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შეცდომების გადაჭრით აღკვეთასთან ერთად უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა კულაკების, მათი აგენტების წინააღმდეგ, რომელნიც საგაზაფხულო თესვის შეფერხებას ცდილობენ.

**საგაზაფხულო თესვისათვის მზადების სადღეისო საბრძოლო ამოცანა: სათესლე ფონდების მთლიანად შეგროვება კოლმეურნეობებში და ყოველნაირად ცდილობენ საგაზაფხულო თესვის შეფერხებას, როგორც კერძო სექტორში, მანქანა - იარაღების შეკეთების უახლოეს დღეებში დამთავრება, თესვის გეგმების სასწრაფოდ დაყვანა, საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენა კოლმეურნეობებში და გამწევი ძალის ორგანიზაცია აღრეული ხვნის დასაწყებად.** ბრძოლა ამ ამოცანების მოსაგვარებლად უნდა დადგეს სათანადო ცენტრალური და სოფლის პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

## ინდუსტრიალიზაციის ფრონტიდან

**მოსკოვი**, 18 თებერვალი.

### ქვანახშირი

16 თებერვალს, მთელს საბჭოთა კავშირში ამოღებულ იქნა **192.525** ტონა ქვანახშირი. 17 თებერვალს მთელს დონბასში ამოღებულ იქნა 136.159 ტონა ქვანახშირი.

### ავტომანქანები

17 თებერვალს სტალინის სახელობის ქარხანამ გამოუშვა 44 ავტომანქანა (ადს).

### ლითონი

15 თებერვალს მთელს საბჭოთა კავშირში გამოდნობილ იქნა 14.658 ტონა თუჯი და 12.711 ტონა ფოლადი (მცირე მეტალურგიის გამოკლებით)

**21 თებერვალს, საღამოს სრულ 6 საათზე საქ. სახკომსაბჭოს წითელ დარბაზში გაიხსნება საქ. კ. პ. (ბ)**

## თბ. კომიტეტის მე-14 მოწვევის პლენუმი

**დღის წესრიგი:**

1) ამიერ-კავკასიის ფედერაციის ათი წლისთავის შესახებ (ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება);

2) თბილისის კომიტეტის 1932 წ. თებერვალ-აპრილის მუშაობის გეგმა. (ამხ. პ. მელაძის მოხსენება);

3) ძირეული პარტორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის შედეგები და შინაპარტიული მუშაობის და მარქს ისტულ—ლენინური აღზრდის ამოცანები (ამხ. ა. წოთლიძის მოხსენება).

საქ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის, ამიერ-კავკ. სამხარეო საკონტროლო კომისიის, საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის და თბილისის კომიტეტის წევრები და კანდიდატები პლენუმზე შედიან თავიანთი მანდატებით, ხოლო დანარჩენი ამხანაგები სათანადო რაიპარტკომებში მიღებულ სპეციალურ ბარათებით.

**საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი: პ. მელაძე.**

## მე-17 საქ. პარტკონფერენციის დადგენილებანი—მასებში

### თბილისის რაიონული პარტაქტივის კრებები ერთხმათ იწონებენ მე-17 პარტკონფერენციის დადგენილებებს

### ამხ. ორჯონიკიძის რაიონში

#### ამხ. გ. ყურულიშვილის მოხსენება

გუშინ, საღამოს 7 საათზე ამხ. ეროშილოვის სახ. კლუბში შესდგა ამხ. ორჯონიკიძის რაიონის პარტაქტივის კრება.

კრებაზე მე-17 საკ. პარტკონფერენციის შედეგების შესახებ გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი ამხ. **გ. ყურულაშვილი.**

მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. **სარქისოვმა, ვაშაკიძემ, შარიამ, ბარჭაიამ, პალიანმა, ჯაფარიძემ** და სხვა.

კამათის და საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც გამოქვეყნებული იქნება.

### ამხ. სტალინის რაიონში

#### ამხ. იპპოს მოხსენება

გუშინ, საღამოს 7 საათზე, ამხ. სტალინის სახ. კლუბში შესდგა სტალინის რაიონის პარტაქტივის კრება.

კრებაზე მე-17 საკავშირო პარტკონფერენციის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა კავკასიის წითელ დროშოვან არმიის პოლიტსამმართველოს უმფროსი ამხ. **იპპო.**

მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. **კალანდაძემ, თედეიშვილმა, ტუმანეცმა** და **აფიმიანმა.**

კამათისა და ამხ. იპპოს საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

### „26 კომუნარების“ სახ. რაიონში

#### ამხ. სტ. აკოპოვის მოხსენება

გუშინ შესდგა „26 კომუნარების“ სახ. რაიონის პარტაქტივის კრება, რო მელმაც მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის, ამხ. ს. აკოპოვის მოხსენება მე-17 საკ. პარტკონფერენციის შედეგების შესახებ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. მონაწილეობა მიიღეს: ამხ. **ისკანდაროვმა, მინასიანმა, ხარქისოვმა, სკვარციოვმა, სამხარაძემ, არტვინოვმა** და სხვა. აქტივის მიერ მიღებული რეზოლუცია გამოქვეყნებული იქნება.

## იაპონია-ჩინეთის მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა

### ჩინეთის და იაპონიის სამხედრო წარმომადგენელთა შეხვედრისათვის შანხაიში

**შანხაი**, 18 თებერვალი. დღეს უნდა შეხვედრენ ერთმანეთს კანტონის მე-19 არმის მთავარსარდალი **ცაი ტინ-კაი** და შანხაიში მყოფ იაპონელთა ხმელეთის ჯარის სარდალი **უედო.**

ფიქრობენ, რომ საუბარი შეეხება ჩინეთის ჯარის გაყვანის პირობებს. თუ შეთანხმება მოხდა, უახლოეს მომავალში საომარი მოქმედება არ არის მოსალოდნელი. შეხვედრას აფასებენ, როგორც ფართო მაშტაბით სამშვიდობო მოქმედების მიღწევის უკანასკნელ ცდას (ადს).

### „ივნინგ პოსტი“ იაპონია-ჩინეთის დროებითი ზავის შესახებ

**შანხაი**, 18 თებერვალი. გაზეთი „ივნინგ პოსტ“-ი იუწყება, რომ მოლაპარაკება იაპონელებსა და ჩინელებს შორის წარმატებით მიმდინარეობს ურთიერთ დათმობათა საფუძველზე.

გაზეთი აცხადებს, რომ იაპონელები თანხმდებიან გაიყვანონ ჯარი იმ რაიონებიდან, რომელიც მათ უცხოელთა სულტმენტის ხელისუფლებამ დაუთმო, ე. ი. გაიყვანონ ჯარი უსწინდან და ჩაჰეის ზოგიერთი პუნქტიდან, რომლებიც მათ ამ ცოტა ხნის წინად დაიკავეს. მეორე მხრით, ჩინეთის ჯარი გაყვანილი იქნება შანხაიდან მაშინ, როცა იაპონელთა საგრძნობლად გადიდებული ძალები დარჩებიან სეტლმენტის ტერიტორიაზე და მდინარე იანძიზე.

გაზეთი აცხადებს, რომ იაპონელთა ხელისუფლება ახლა უფრო ცდილობს მიაღწიოს „ზავს პრესტიჟის დაუკარგავად“, ვიდრე გამოიყენოს იაპონიის სამხედრო ძალები საგრძნობლად გადიდებული და გამაგრებული ჩინური ჯარის წინააღმდეგ. (ადს).

### იაპონია-ჩინეთის მოლაპარაკება შეწყდა

**შანხაი**, 18 თებერვალი. მოლაპარაკება იაპონიის და ჩინეთის სარდლობას შორის შეწყდა, რადგან ჩინელებმა უარყვეს იაპონელთა მოთხოვნები (ადს).

### შანხაის რაიონში დაბანაკებული ჩინეთის ხუთი დივიზია

**შანხაი**, 18 თებერვალი. „ნოით ჩაინა დეილ-ნიუს“-ი ამტკიცებს, რომ ჩინელებს ამჟამად შანხაის რაიონში ყავთ ხუთი დივიზია, კანტონის მე-19 არმიის შემადგენლობით (ადს).

### ჩაჰეი-უსუნის ფორტების გასამაგრებლად.

**შანხაი**, 18 თებერვალი. ჩაჰეი-უსუნის ფორტის სხვადასხვა პუნქტებში თავს უყრიან ჩინეთის ჯარის საარტილერიო ნაწილებს. იმის გამო, რომ ჩინეთის სარდლობა ცდილობდა დამხმარე ჯარი შანხაი-ნანკინის რკინის გზით გადაეყვანა, იაპონიის არტილერიამ სროლა ასტეხა. ყუმბარების დაშენა ორ საათზე მეტს გრძელდებოდა. მებრძოლი ძალების პოზიციები არ შეცვლილა (ადს).

### იაპონიის საფხედრო-საჰაერო ძალების კონცენტრაცია შანხაიში

**შანხაი**, 18 თებერვალი. შანხაიში იაპონელებმა თავი მოუყარეს ასზე მეტ სამხედრო ჰაეროპლანს (ადს).

### იაპონიის ჯარის უფრესკება შანხაიში

**შანხაი**, 18 თებერვალი. „ნოდ ჩაინა ნიუს“-ი იუწყება, რომ იაპონიის ჯარი ხანკოუს რაიონში ძალმომრეობას მიმართავს. იაპონელი მეზღვაურები იჭრებიან უცხოელთა სახლებში, ეწევიან ძარცვა-გლეჯას, აპატიმრებენ ჩინელებს—მამა-კაცებს და ქალებს, ჩხრეკენ მათ და აჯავნებენ იაპონელთა კლუბსა და სკოლებში. დაპატიმრებულთა შემდგომი ბედი გამოურკვეველია (ადს).

### ნანდოუში კაენიკაა გამეფებული

**ტოკიო**, 18 თებერვალი. სომბუნ რენგოს საagენტო იუწყება, რომ შანხაიში 17 თებერვალს წარმოებდა სისტიკი საარტილერიო სროლა. ქალაქ პანდაოს ჩინური რაიონის მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. რაიონიდან გარბიან. ავრცელებენ ხმებს, რომ იაპონიის ჯარმა გადასწყვიტა ყუმბარები დაუშინოს პანდაოს (ადს).

### ჩინეთის ხელისუფლება ვანანგრძობს გამაცმელობას

**შანხაი**, 18 თებერვალი. ჩინური პრესა იუწყება, რომ ჩინეთის ხელისუფლებამ გახაიარაღა მოხალისეთა რაზმი, რომელიც მოსახლეობის მიერ მოეწყო. რაზმი 300 მოსახლისაგან შესდგებოდა, იმყოფებოდა პუტუნში. შანხაის მახლობლად, და ფიქრობდა ჩაჰეი-უსუნის ფრონტზე წასვლას. რაზმის ხელმძღვანელს წინადადება მიეცა დაეშალა რაზმი. ხელმძღვანელმა ამაზე უარი განაცხადა, რისთვისაც იგი დაატყვევრეს. პუტუნში გაიგზავნა ქვეითი ჯარის ბათალიონი, რომელსაც რაზმი საბოლოოდ დაშალა (ადს).

### უკმაყოფილების ზრდა იაპონიის არმიის ჯარისკაცთა შორის

**პარიზი**, 18 თებერვალი. „ლიუმანიტე“ იუწყება, რომ ძლიერდება უკმაყოფილება მანჯურიაში მყოფ იაპონელთა საოკუპაციო არმიასა და შანხაიში დაბანაკებულ იაპონელთა სამხედრო ნაწილებში. 8 თებერვალს იაპონელ ჯარისკაცთა დიდმა რაოდენობამ უარი განაცხადა ჩინეთის ჯარის წინააღმდეგ გამოსვლაზე. 200-ზე მეტი იაპონელი ჯარისკაცი დაპატიმრეს და იაპონიაში გაგზავნეს.

შანხაიდან მებრძოლ ძალების გაგზავნის დროს იაპონიის ნავთსადგურებში თავი იჩინა სპაროტესტის მოძრაობამ. ჯარისკაცები აშკარად გამოსძახოდნენ უკმაყოფილებას ჩინეთის წინააღმდეგ საომრად გაგზავნის ჟამი (ადს).

### მანჯურიაში აწყობენ ჩინელთა მოხალისე არმიას

**შანხაი**, 18 თებერვალი. „ჩაინა პრეს“-ი იუწყება, რომ უ-ჰეი-ფუს შესთავაზეს მანჯურიის მოხალისეთა არმიის მთავარსარდლის თანამდებობა. გაზეთის გადმოცემით, ეს არმია უნდა შეიქმნებოდეს რამდენიმე ასი ათასი ჯარისკაცისაგან. იგი მიზნად ისახავს მანჯურიის უკან დაბრუნებას.

### შეიქმნა უზენაესი კოლეგიური საბჭო

**ტოკიო**, 18 თებერვალი. დიმპო ცუსინ საagენტოს მუკდენიდან აუწყებენ, რომ შეიქმნა „მანჯურიის და მონგოლეთის უზენაესი პოლიტიკური საბჭო“ ცან ში-ის, სი-ან-ის, გენერალ მა-ს და ჩან ცი-გუას შემადგენლობით. საბჭოს მდივნად დაინიშნა ლეიტენანტი ტანაკა (ადს).

## გერმანია განაგრძობს იარაღის გზავნას შორეულ აღმოსავლეთში

**ბერლინი**, 18 თებერვალი. ლუბეკიდან შორეულ აღმოსავლეთში გაიგზავნა გერმანული გემი, რომელსაც სამხედრო ტვირთი მიაქვს. გემის ეკიპაჟი შტრეიკბრეხერებისაგან შეადგინეს. (ადს).

## „გერზენ კურიერი“ სოციალისტური მოვნეგლობის შესახებ საბჭოთა კავშირში

**ბერლინი**, 18 თებერვალი. გერმანიის იღიმართა უზარმაზარი სახლები მუშებისათვის. უკვე აგუზგუზდა პირველი ფაბრიკების მილები. განუზომელია ბერეთვე ელექტროსადგურების მშენებლობის დარგი.

გაზეთი ეხება ყოფილ მოსკოვის ქარხანას „ამო“-ს და აღნიშნავს, რომ ტეხნიკურად ქარხანა ისე არის მოწყობილი, რომ საესებით შესაძლებელია მისი ფორდთან შედარება (ადს).

## მუშათა მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში

### ნიუ-იორკელი მკერავების გაფიცვა

**ნიუ-იორკი**, 18 თებერვალი. იმ რამდენიმე ათას მკერავს, რომელებმაც გასულ კვირაში გამოაცხადეს გაფიცვა, შეუერთდნენ კიდევ 30.000 ნემსის მუშა. გაფიცვა მიმდინარეობს რევოლუციონური ხელმძღვანელობით (ადს).

### პოლონეთის ქვანახშირის გასეიენებში გაფიცულია 29.000 კაცი

**ვარშავა**, 18 თებერვალი. იფეთქა დაბრუსკასა და კრაკოვის ბასეინების სამთამადნო მუშაკთა გაფიცვამ. მაღაროებში შეიფუვნეს პოლიციელთა გაძლიერებული პატრულები. მოელიან, რომ გაფიცვა გავრცელდება ზემო-სილეზიაშიც.

მეტალურგიის მრეწველობის მუშები ემზადებიან სამთამადნო მუშების საგაფიცვო ბრძოლისათვის მხარის დასაჭერად (ადს).

### უმუშევართა დემონსტრაციები კაპიტალის ქვეყნებში

**პარიზი**, 18 თებერვალი. ბრიუსელში შესდგა **6.000 უმუშევრის დემონსტრაცია**, ბელგიის სოციალისტებმა მიიღეს ყველა ზომები იმისათვის, რომ ჩაეშალათ დემონსტრაცია, მაგრამ მათ ეს ვერ მოახერხეს. დემონსტრაცია გაემართა ქალაქის ცენტრალური მოედნებისაკენ, სადაც იმართებოდა მიტინგები და გამოდიოდენ რევოლუციონური მუშები (ადს).

## პოლიანსკის საქმე

**ვარშავა**, 18 თებერვალი. ვარშავის უზენაეს სასამართლოში ირჩეოდა პროკურორის საკასაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე პოლიანსკის საქმის გამო. სოლუკ სასამართლოს თავის დროზე პოლიანსკის მიუსაჯა ვარშავაში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის იფეთქების განზრახვისათვის ათი წლის კატორგა.

საკასაციო სასამართლომ შესცვალა პირველი ინსტანციის განაჩენი და პოლიანსკის სასჯელის ვადა შეამცირა სამ წლამდე დაპატიმრებით. პროკურორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება, სახელდობრ ის, რომ უცხოეთის წარმომადგენლობის—საბჭოთა კავშირის სრულ უფლებიანი წარმომადგენლობის—შენობაზე თავდასხმის განზრახვა არაპირდაპირი გზით მიმართულია ავრეთვე პოლონეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ.

უზენაესმა სასამართლომ დაამტკიცა საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება რომლის ძალითაც **პოლიანსკის მიესაჯა სამი წლით დაპატიმრება წინასწარი პატიმრობის ჩათვლით,** (ადს).

## საბჭოთა კავშირის სახალხოსაბჭოს დასაკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

### საბჭოთა კავშირში საკოლმეურნეო სათესლე ფონდების შეგროვებისა და გვალვისაგან დაზარალებულ რაიონებისათვის თესლით და სურსათით დახმარების ღონისძიებათა შესახებ

1. თესვის კამპანიის მოახლოვებასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი მიუთითებენ ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, რომ სოფლად მათი მუშაობის ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს საკოლმეურნეო სათესლე ფონდების შექმნა იმ რაოდენობით, რაც საჭიროა თესვის გეგმის მთლიანად შესასრულებლად. სახკომსაბჭო და საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი ავალებენ ყველა პარტიულ, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციებს — დაუყოვნებლივ მოჰკიდონ ხელი საკოლმეურნეო სათესლე ფონდების შექმნის საქმეს.

2. დამტკიცდეს საბჭოთა კავშირის მიწსახკომის მიერ წარმოდგენილი საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების საკოლმეურნეო სათესლე ფონდების შექმნის გეგმა:

უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბ. — 9.500.000 ცენტნერი.

ჩრდილოეთ კავკასია — 3.920.000 ცენტნერი.

ქვემო ვოლგა — 3.820.000 ცენტ., ყირიმის ა.ს.ს. რესპუბლიკა — 203.000 ცენტნერი.

ამ.-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკა — 440.000 ცენტნერი.

უზბეკისტანის ს.ს. რესპუბლიკა — 500.000 ცენტნერი.

ყირგუზეთის ს.ს. რესპუბლიკა — 460.000 ცენტნერი.

თურქმენისტანის ს.ს. რესპუბლიკა — 30.000 ცენტნერი.

ტაჯიკისტანის ს.ს. რესპუბლიკა — 180.000 ცენტნერი.

დაღესტანის — 36.000 ცენტნ.

უაზახთა ა.ს.ს. რესპუბლიკა — 3.000.000 ცენტნერი.

დასავლეთის ოლქი — 1.486.000 ცენტნერი.

ივანოვის ოლქი — 797.000 ცენტნ.

თათართა ა.ს.ს. რესპუბლიკა — 1.291.000 ცენტნერი.

შუა ვოლგა — 4.360.000 ცენტნ.

ცენტრალ. შავნიადაგიანი ოლქი — 3.894.000 ცენტნერი.

შორეულ აღმოსავლეთის მხარე — 689.000 ცენტნერი.

ჩრილოეთ კავკასია — 948.000 ცენტნერი.

ბაშკირეთი — 2.500.000 ცენტნ.

დასავლეთი ციმბირი — 5.800.000 ცენტნერი.

ნიჟნი-ნოვგოროდის მხარე — 2.480 ათასი ცენტნერი.

მოსკოვის ოლქი — 1.766.000 ცენტნერი.

ლენინგრადის ოლქი — 812.000 ცენტნერი.

ბელორუსიის ს.ს. რესპუბლიკა — 1.200.000 ცენტნერი.

ურალის 5.451.000 ცენტნერი.

აღმოსავლეთი ციმბირი — 1.772 ათასი ცენტნერი.

სულ 57.355.000 ცენტნერი.

2. თესლის შეგროვების დამთავრების უკანასკნელ ვადად დაწესებულ იქნას: უკრაინის, ქვედა ვოლგის, ჩრდილოეთ კავკასიის, ყირიმის და შუა-აზიისათვის — 10 მარტი, ხოლო დანარჩენ რესპუბლიკების, რაიონებისა და ოლქებისათვის — 1-ლი აპრილი.

3. ვინაიდან საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთის რაიონები გასულ წელს დააზარალა გვალვამ, რის გამო ამ რაიონების კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს არ აქვთ საშუალება თავიანთი საკუთარი რესურსებიდან მთლიანად უზრუნველყონ გაზაფხულის თესვა თესლის საჭირო რაოდენობით, და რომ მთელ რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს სიძნელეებს სურსათის მხრივ, მიეცეს ამ რაიონების კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს სათესლე და სასურსათო სესხი, 1932 წლის შემოდგომაზე დაბრუნებით, ნატურით 53.500.000 ფუთის რაოდენობით, მათ შორის: 39 მილიონი ფუთი კოლმეურნეობებს და 14.500.000 ფუთი მარცვლეულ მეთესლეობის და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებს.

4. კოლმეურნეობათათვის მისაცემ სათესლე სასურსათო სესხი განაწილებულ იქნას კულტურების მიხედვით შემდეგ ნაირად: ხორბალი — 18.1 მილიონი ფუთი, შვრია—8,2 მილიონი ფუთი, ქერი — 0,4 მილიონ ფუთი, ჭვავი —6,5 მილიონი ფუთი (მათ შორის 6 მილიონი ფუთი საკვებად). სიმინდი— 3.0 მილიონი ფუთი, მზესუმზირა — 2,8 მილიონი ფუთი.

5. კოლმეურნეობათათვის სათესლე და სასურსათო სესხის სახით მიცემული ხორბალი, შვრია, ქერი და ჭვავი განაწილებულ იქნას რაიონების მიხედვით შემდეგ ნაირად:

მილიონ ფუთობში

| | ხორბალი | შვრია | ქერი | ჭვავი |
|---|---|---|---|---|
| ქვემო ვოლგა | 1.5 | 0.5 | | 0.3 |
| შუა ვოლგა | 3.9 | 1.9 | — | 1.5 |
| ურალი | 4.2 | 2.3 | 0.4 | 1.7 |
| ყაზაკსტანი | 3.45 | 0.5 | — | 1.5 |
| ბაშკირეთი | 0.85 | 0.75 | — | — |
| დასავ. ციმბირი | 3.9 | 1.4 | 1.5 | |
| თათართა რესპ. | 0.3 | 09 | — | — |

6. დაევალოს საბჭოთა კავშირის მიწსახკომს — გაანაწილოს კოლმეურნეობათათვის გადადებული სათესლე სესხი სიმინდი და მზესუმზირა, ავრეთვე საბჭოთა მეურნეობებისათვის მიცემული თესლი რაიონების მიხედვით.

7. მიწსახკომმა სახელმწიფო სათესლე სესხის გაცემა აწარმოოს მხოლოდ კოლმეურნეობათა მიერ საკუთარი რესურსებიდან სათესლე ფონდების შექმნის მიხედვით.

8. დაევალოს სახელმწიფო ბანკს — მიაწოდოს ფინანსები სათესლე და სასურსათო დახმარების გაცემის საქმეს.

9. სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი მიაქცევენ ყველა პარტიულ, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციების ყურადღებას იმას, რომ თესლის შეგროვება საყოველთაოდ დამთავრებულ უნდა იქნას რაც შეიძლება მოკლე ვადაში იმ ანგარიშით, რომ, თესვის კამპანიისათვის დროული მზადებით, უზრუნველჰყონ თესვის ადრე დამთავრება და ამით მიაღწიონ უფრო დიდ მოსავალს.

10. საბჭოთა კავშირის მიწსახკომმა დააწესოს ოპერატიული ხელმძღვანელობა თესლის შეგროვების მიმდინარეობაზე და ყოველ ათ დღეში გამოაქვეყნოს ცნობები საკოლმეურნეო სათესლო ფონდების შექმნის შესახებ რაიონების, ოლქების და რესპუბლიკების მიხედვით.

საბჭ. კავ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე **მოლოტოვი (სკრიაბინი)**

საკავშირო კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ი. სტალინი.**

(ადს).

**სარეზონტო კამპანია**

## ბილეთ მაგალითი ლაგოდეხის სამინქანო-სატრაქტორო სადგურისაგან

### მთავარი ყურადღება შეკეთების ხარისხს

### ლაგოდეხის სამინქანო-სატრაქტორო სადგურმა დაამთავრა ტრაქტორების შეკეთება

#### პ ა ტ ა კ ი

ლაგოდეხის სამინქანო-სატრაქტორო სადგური თავის დროზე შეუდგა მზადებას საგაზაფხულო ხვნა თესვის ბოლშევიკურათ ჩატარებისათვის.

სადგურის შემკეთებელი სახელოსნოში ტრაქტორებისა და მანქანა - იარაღების რემონტი დაიწყო ჯერ კიდევ საშემოდგომო თესვის კამპანიის დამთავრების პერიოდში. მიმდინარე წლის იანვრისათვის შესაკეთებელი იყო „ფორზონი“-ს სისტემის 11 ტრაქტორი, მათგან ცხრა ტრაქტორი მოითხოვდა კაპიტალურ შეკეთებას, ხოლო 2 ტრაქტორი კი — მიმდინარე შეკეთებას.

მუშაობაში სოცშეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლით რაიონული ორგანიზაციების, სამინქანო - სატრაქტორო სადგურის მოხალისეთა არმიის მთავარსარდლის თანამდებობა. გაზეთის გადმოცემით, ეს არმია უნდა შეიქმნებოდეს რამდენიმე ასი ათასი ჯარისკაცისაგან. იგი მიზნად ისახავს მანჯურიის უკან დაბრუნებას. (ადს).

### შემკეთებელ სახელოსნოს არ ჰყავს კვალიფიციური მუშათა კადრები

#### (ბარე-ქასეთის რაიონი)

ბარე-ქასეთის რაიონში ძალზე სუსტად მიმდინარეობს სარემონტო კამპანია. საგარეჯოში არსებობს მანქანა-იარაღების შემკეთებელი სახელოსნო, რომელიც არ არის შეჭიდებული სელოსანთა სათანადო კადრებით. სახელოსნო არ არის მომარაგებული შესაკეთებელი მასალით, **რამოდენიმე ხანია დგას კოლმეურნეობების შეუკეთებელი ტრაქტორები და სხვა იარაღ-მანქანები.**

ადგილობრივ ორგანიზაციებს ჯერაც არ დაუწყიათ სათესლე ფონდის შეგროვება. ზოგიერთი სოფლის საბჭოებიმუშაკები არავითარ ზომებს არ ღებულობენ სათესლე მასალის შეგროვებლად და, ასე გაიძახიან: „რა გვეჩქარება, **თესლს მანც მოგვცემენ**„-ო.

სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს თვითმდინარებაზე დაყრდნობას. საგაზაფხულო თესვისათვის მზადება ფართოდ უნდა გაიშალოს.

**გ. გარსიაშვილი**

### დამკვრელების დაჯილდოვება

#### სარემონტო კამპანიის ვადაზე დამთავრებისათვის (დუშეთის რაიონი)

სოფ. მუ

# თათბირი საქართველოს კურორტების შესახებ

## საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიაში

**მოსკოვი**, 16 თებერვალი. 14 თებერვალს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო - საგეგმო კომისიაში შედგა ფართო კონფერენცია საკავშირო საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების, სამეცნიერო საგამოკვლევო ინსტიტუტებისა და ცალკე სამეცნიერო მუშაკების მონაწილეობით. კონფერენციამ განიხილა საქართველოს საკურორტო მშენებლობის გეგმა 1932 წლისათვის, მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები მეორე ხუთწლედში. და წყალტუბოს გენერალური გეგმის სქემა. კონფერენციამ მოისმინა სახელმწიფო - საგეგმო კომისიის ჯანმრთელობის დაცვის სექტორის უფროსის — ბარსუკოვის, საქართველოს საკურორტო სამმართველოს უფროსის მოადგილე — პისკუნოვის, — საგეგმო კომისიის მუშათა დასვენების ჯგუფის ხელმძღვანელის — ხრისანფოვის და ტურიზმის საზოგადოების წარმომადგენელის — ადელაიუნის მოხსენებები.

კამათში დელეგატებმა, მათ შორის საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ძალების გამოჩენილმა წარმომადგენლებმა, აკადემიკოსებმა და პროფესორებმა ერთხმად სცნეს საქართველოს კურორტების უდიდესი ძნიშვნელობა მთელი საბჭოთა კავშირისათვის. დელეგატებმა ერთსულოვნად გამოთქვეს ის აზრი, რომ საჭიროა საგრძნობი თანხების დახარჯვა და საქართველოს უდიდეს საკურორტო სიმდიდრეთა წარმატებით ვამოყენება. თათბირმა ხაზი გაუსვა საქართველოში უცხოეთის პროლეტარული ტურიზმის განვითარების უდიდეს მნიშვნელობას. კონფერენციამ მოიწონა კურორტ წყალტუბოს დაგეგმვის პროექტი, რომელიც დაამუშავა ხუროთმოძღვართა ჯგუფმა ცნობილი კონსულტანტების მონაწილეობით და წინასწარ განიხილა კურორტოლოგიის ინსტიტუტმა სამეცნიერო საკურორტო საზოგადოებასთან ერთად. საბჭოთა, რუსეთის ჯანრთელობის სახალხო კომისარის ვლადიმირსკის მონაწილეობით მოეწყო წყალტუბოს მშენებლობისთვის ხელის შემწყობი კომიტეტი. კონფერენციამ ცალკე მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს კურორტების შესწავლისათვის საზოგადოებრივ — სამეცნიერო დახმარების გაწევის შესახებ.

ა.-კ. წარმომადგენლობის კონსულტანტი კუტირევი.

# ვიმ უშაოთ ამხ. სტალინის მითითებების მიხედვით მთლიანად განვახორციელოთ გამარჯვების ექვსი პირობა

## შესაკეთებელ ორთქლმავალ-ვაგონების დროზე მიუწოდებლობა აფერხებს თბილისის სარემონტო ქარხნის გეგმების შესრულებას

### განვახორციელოთ ბელადის მითითებები

ამხ. სტალინმა თავის ისტორიულ მითითებებში დაგვისახა ჩვენი ყოველდღიური მუშაობის პროგრამა, რომლის განხორციელება თითეული წარმოება-დაწესებულების [illegible] რადგანაც „მოუწველობის განვითარების ახალი პირობები მოითხოვენ ახალი წესით მუშაობას“. დღეს ფაბრიკა-ქარხნების მუშაობა შეიცვლება იმის მიხედვით თუ როგორ ანხორციელებენ ისინი ბელადის მითითებებს, როგორ გარდაქმნეს მათ მუშაობა ახალ მოთხოვნილებათა საფუძველზე.

ამხ. სტალინის მითითებების შემდეგ უდიდესი გარდატეხა მოხდა ჩვენი მუშაობის ყოველ დარგში. მაგრამ არსებობს ისეთი ფაბრიკა-ქარხნები, რომლებმაც დღემდე ვერ გარდაქმნეს მუშაობა ახალ მოთხოვნილებათა საფუძველზე.

მაგ.: დიდუბის მექანიკური ქარხნის მშენებლობაზე მუშაობს 411 მუშა, მუშათა ეს რიცხვი ვერ აკმაყოფილებს მშენებლობის მოთხოვილებას, საჭიროა კიდევ დაახლოებით 700 კაცი. ქარხნის ხელმძღვანელობამ მუშა-ხელის შესაგროვებლად მიიღო სპირო ზომები. მათ ხელშეკრულება დასდეს ბაშკიჩეთის რაიონის კოლმეურნეობასთან. საიდანაც უნდა მოსულიყო 100 კაცი, მაგრამ კოლმეურნეობამ ეს ხელშეკრულება არ შეასრულა. ქარხნი მუშა-ხელი მშენებლობას არ მიაშურდა.

მუშებს და ტეხნიკურ პერსონალს შორის სათანადოთ არ არის გაშლილი სოც. შეჯიბრება და დამკვრელობა. 411 მუშიდან სოც-შეჯიბრება-დამკვრელობაში ჩაბმულია 254 მუშა, აქედან დაჯილდოებულია 146.

მშენებლობაზე ჩამოყალიბებულია 27 ბრიგადა, აქედან სამეურნეო ანგარიშზე გადასულია სამი ბრიგადა. ამ ბრიგადებმა სოც. შეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლილ პირობები მოითხოვენ ახალი წესით მუშაობას“. დღეს ფაბრიკა-ქარხნების მუშაობა შეიცვლება იმის მიხედვით თუ როგორ ანხორციელებენ ისინი ბელადის მითითებებს, როგორ გარდაქმნეს მათ მუშაობა ახალ მოთხოვნილებათა საფუძველზე.

ამხ. სტალინის მითითებების შემდეგ უდიდესი გარდატეხა მოხდა ჩვენი მუშაობის ყოველ დარგში. მაგრამ არსებობს ისეთი ფაბრიკა-ქარხნები, რომლებმაც დღემდე ვერ გარდაქმნეს მუშაობა ახალ მოთხოვნილებათა საფუძველზე.

მაგ.: დიდუბის მექანიკური ქარხნის მშენებლობაზე მუშაობს 411 მუშა, მუშათა ეს რიცხვი ვერ აკმაყოფილებს მშენებლობის მოთხოვნ

მევენახეობა

# ნიადაგის დამუშავების მექანიზაცია

## სწყვეტს მევენახეობის განვითარების დარგში მოცემულ დავალებათა შესრულების საკითხს

### გეგმიანად განვავითაროთ მევენახეობა

საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების თანახმად, მომდინარე წლიდან სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მევენახეობის განვითარებას. საქართველოში მეორე 5 წლედის დამლევისათვის, ვენახების ფართობი უნდა გა დიდებულ იქნას 100.000 ჰექტარამდე. ვენახის ფართობი ამჟამად საქართველოში არ აღემატება 87-88 ათას ჰექტარს. ამრიგად მევენახეობას ჩვენში მეტად ფართო პერსპექტივები ეშლება.

დასახული გეგმის დროზე შესრულებისათვის საჭიროა ვენახი ყოველწლიურად გავაშენოთ 10.000 და 20.000 ჰექტარის ოდენობაზე. ვენახების მშენებლობასთან ერთად უნდა სწარმოებდეს სათანადო ტევადობის მარნების, სარდაფების და სხვა შენობების აგება. მევენახეობის პროდუქციის გადასამუშავებლად და შესანახად.

ამ დიდი მიზნის მისაღწევად საჭიროა ახალი ჯანით მუშაობა. მიწების დამუშავება, ვაზის მუნობა, დარგვა, წამლობა, შენობების აგება და ყოველნაირი მუშაობა უნდა სწარმოებდეს ბოლშევიკური ტემპებით შრომის მექანიზაციის საფუძველზე და ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევათა გამოყენებით.

